გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

13 ნოემბერი 2023

N 2-845

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხევში, მდ. რიკოთულას მარცხენა სანაპიროზე გამონამუშევარი ფუჭი ქანების N12 სანაყაროს პროექტის ფარგლებში ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 20 აგვისტოს №2-1263 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 7 ნოემბრის N21/9590 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხევში, მდ. რიკოთულას მარცხენა სანაპიროზე გამონამუშევარი ფუჭი ქანების N12 სანაყაროს პროექტის ფარგლებში ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 20 აგვისტოს №2-1263 ბრძანება.
2. ეს ბრძანება გაეგზავნოს: სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და სსდ - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს.
3. სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ეს ბრძანება 5 დღის ვადაში განათავსოს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია სსდ - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი